საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მოხირისი

მოხირისი, მუხირისი, მუხურისი, მოხორისი, მუხური, ციხე-ქალაქი და მხარე ეგრისში. ტოპონიმი მომდინარეობს მეგრული სიტყვიდან „მუხური“ და ერთდროულად მხარეს, კუთხეს აღნიშნავს. **მ**-ის (ქალაქი) ლოკალიზაცია არ არის დადგენილი. გამოთქმულია მოსაზრება, რომ იგი მდებარეობდა თანამედროვე დაბლა გომის მიდამოებში. წერილობით წყაროებში II ს-იდანაა დამოწმებული. იგი ეგრისის ერთ-ერთ ქალაქად მოხსენიებული აქვს პტოლემაიოსს თავის „გეოგრაფიაში“. V ს. დასაწყისში **მ**-ში რომაელთა გარნიზონის ერთი კოჰორტა იდგა. VI ს-ში იგი ვარციხესთან ერთად ეგრისის ყველაზე მნიშვნელოვანი ქალაქი იყო. 662 **მ**-ში მცირე ხნით შეაჩერეს მაქსიმე აღმსარებლის თანამებრძოლნი.

მ., როგორც მხარე, მოხსენიებულია VI ს. ბიზანტ. ისტორიკოსების – პროკოპი კესარიელისა და აგათია სქოლასტიკოსის თხზულებებში. იგი მოიცავდა კოლხეთის დაბლობის ერთ ნაწილს, რ-იც მდ-ებს – რიონსა და ცხენისწყალს შორის იყო მოქცეული. **მ**-ში შედიოდა დაბლობი ზოლი ცხენისწყლის მარჯვ. და, სავარაუდოდ, რიონის მარცხ. ნაპირზეც, აგრეთვე _ ქუთათისი (ახლანდ. ქუთაისი). **მ**. მჭიდროდ იყო დასახლებული, ეგრისის სამეფოს ყველაზე დაწინაურებულ სამეურნეო რეგიონს წარმოადგენდა და შეესაბამებოდა შუაფეოდ. ხანის სამოქალაქოს. გვიანფეოდ. ხანაში **მ**-ის დიდი ნაწილი იმერეთის სამეფოს ერთ მხარეში – ვაკეში შედიოდა (**მ**-ის სამოურავო).

წყარო: გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 1, თბ., 1961; ტ. 2, თბ., 1965; ტ. 3, თბ., 1936; ტ. 4, ნაკვ. I, თბ., 1941.

ლიტ.: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 8, თბ., 1975; გ ო ნ ი კ ი შ ვ ი ლ ი მ., იმერეთი XVIII–XIX საუკუნეთა მიჯნაზე, თბ., 1979;

ლ ო მ ო უ რ ი ნ., ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968; ჭ ი თ ა ნ ა ვ ა დ., ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში, თბ., 2010; ჯ ა ნ ა შ ი ა ს., საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, შრომები, ტ. 1, თბ., 1949; მ ი ს ი ვ ე , ეგრისის სამეფოს წარმოშობა, შრომები, ტ. 2, თბ., 1952; М е л и к и ш в и л и Г., К истории древней Грузии, Тб., 1959.

თ. ბერაძე